



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA



MES 2 19 00336326



21/03/2019

**საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს
ტერიტორიულ ორგანოებს ქალაქ თბილისის - საგანმანათლებლო რესურსცენტრებს**

გაცნობებთ, რომ დაინიშნა მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით N1 მაჟორიტარულ (მთაწმინდის) საარჩევნო ოლქში საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები. გიგზავნით არჩევნების დანიშვნის შესახებ გამოცემულ სამართლებრივ აქტს, რომლის თანახმადაც, არჩევნები გაიმართება 2019 წლის 19 მაისს. მოგეხსენებათ, რომ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ თანახმად, წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური პარტიები და საარჩევნო სუბიექტების კანდიდატები სარგებლობენ თანასწორი უფლებებით და აკისრიათ თანაბარი ვალდებულებები. ამასთან, წინასაარჩევნო კამპანია არის არჩევნებში მონაწილეობისა და გამარჯვების მიზნით ჩატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლის მნიშვნელოვანი კომპონენტია წინასაარჩევნო აგიტაცია. წინასაარჩევნო აგიტაცია არის ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტების კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნებისმიერი საჯარო მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას, ან/და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, მათ შორის, წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობა, საარჩევნო მასალების შენახვა ან გავრცელება, მხარდამჭერთა სიებზე მუშაობა, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობებში ყოფნა.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 48-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე ნებისმიერ პირს, წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში, ეკრძალება რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტის/სუბიექტების კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის პროცესში ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დაუშვებელია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სასწავლო პროცესის პოლიტიზება. ამასთანავე, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მიზნების

მისაღწევად სახელმწიფო უზრუნველყოფს საჯარო და კერძო სკოლების დამოუკიდებლობას პოლიტიკური გაერთიანებებისაგან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტოს N80/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსისა“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 ივლისის N57/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის“ თანახმად, სკოლის დირექტორი არ ეწევა პოლიტიკურ პროპაგანდას, ხოლო მასწავლებელი არ ეწევა მოსწავლეებთან პოლიტიკურ პროპაგანდას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს, საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებლებს ეკრძალებათ პოლიტიკური პროპაგანდა/საარჩევნო აგიტაცია. აღნიშნული ინფორმაცია მიაწოდეთ თქვენს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლებს, რათა მიმდინარე წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში უზრუნველყონ ზემოაღნიშნულ ნორმათა მოთხოვნების დაცვა.

პატივისცემით,

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა
და სპორტის სამინისტრო / იურიდიული
დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
დავით ლომინაშვილი

